საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

კორონავირუსის ეპიდემიის შეჩერების მიზნით გამოცემული ძირითადი სამართლებრივი აქტებისა და მათში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი სამართლებრივი აქტები.

KPMG-ის გლობალური ქსელის წევრი კომპანიები ახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ბიზნესსა და საზოგადოებაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. KPMG Georgia წარმოგიდგენთ მიმოხილვას კორონავირუსის ეპიდემიასთან საბრძოლველად გატარებული ღონისძიებების მიზნით მიღებული ძირითადი სამართლებრივი აქტების შესახებ.

ინფორმაცია განთავსებულია 2020 წლის 27 აპრილის მდგომარეობით.

დროებითი შეზღუდვები	გასათვალისწინებელი რეკომენდაციები
საქმისწარმოების განსხვავებული წესები	იზოლაციისა და კარანტინის წესები

დროებითი შეზღუდვები

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დაწესებული შეზღუდვები

მნიშვნელოვანია

- ✓ 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოცხადდა.
- ✓ 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომლის ვადა გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისი ჩათვლით [1].
- ✓ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული გარკვეული უფლებები [2].
- ✓ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი სავალდებულოა ყველასთვის.
- ✓ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას:
  - ფიზიკური პირებისათვის - 3,000 ლარის ოდენობით
  - იურიდიული პირებისათვის - 15,000 ლარის ოდენობით
  - განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო იურიდიული პირი დაისჯება ჯარიმით, საქმიანობით უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.
- ✓ 16 წლამდე ასაკის პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მის მშობელს ან ბავშვის სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა
მიმოსვლის შეზღუდვა
სხვა შეზღუდვები
- საგანმანათლებლო პროცესის შეზღუდვა
- კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა
- შეკრებებისა და მანიფესტაციების, აგრეთვე საჯარო სივრცეში თავშეყრის შეზღუდვა
- გადაადგილების ასაკობრივი შეზღუდვა
- კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული შეზღუდვა

ასევე მნიშვნელოვანია
საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვა და მისი კონტროლი

KPMG

ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა

ძირითადი ცვლილებები:

- ✓ განისაზღვრა ეკონომიკური საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც არ იზღუდება საგანგებო მდგომარეობის ვადით [3].
- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ფარგლებში.
- ✓ ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

- საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა შემდეგი საქმიანობებისა:

- ❑ სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა
- ❑ ღია ტიპის აგრარული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობა (სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად)
- ❑ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურება (მძღოლი აღჭურვილი უნდა იყოს პირბადით)
- ❑ მიტანის მომსახურებისა (ე. წ. „დელივერი სერვისი“)
- ❑ დისტანციური (ე.წ. „ონლაინ“) ვაჭრობა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანისა)
- ❑ სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა
- ❑ წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხობების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობა

- ❑ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოება/გადაცემა/განაწილება/მიწოდება, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურება
- ❑ საფინანსო/საბანკო მომსახურება
- ❑ სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება/დისტრიბუცია/რეალიზაცია
- ❑ საკვები პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის მომსახურება
- ❑ კერძო დაცვითი საქმიანობა
- ❑ საადვოკატო საქმიანობა
- ❑ ავტოტექმომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა

- ❑ პრესის ჯიხურების მომსახურება
- ❑ ნავთობის და გაზის მოპოვება, გადამუშავება
- ❑ ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან
- ❑ დასაწყობებისა და შენახვის საქმიანობა (სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანისა, გარდა საბაჟო საწყობებისა)
- ❑ დაშვებული ეკონომიკური საქმიანობებისთვის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოება, მიწოდება და რეალიზაცია, აგრეთვე ეტიკეტირებისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

KPMG

- გარდა წარმოდგენილი სიისა, შესაბამისი დანართებით დეტალურად განისაზღვრა იმ მეწარმე სუბიექტებისა და საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებსაც არ ეზღუდებათ ეკონომიკური საქმიანობა.

- დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დისტანციური მუშაობა გულისხმობს სახლიდან მუშაობას, ხოლო კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, ასევე სამუშაო ადგილიდან („სამსახურიდან, ოფისიდან", მაგრამ არა უმეტეს 5 ადამიანისა).

- საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელის, აგრეთვე სპირტიანი სასმელისა და ლუდის სარეალიზაციო ობიექტების ფუნქციონირება.

- საგანგებო მდგომარეობის ვადით რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის მომსახურებით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე.

- ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

- საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, დამატებით განსაზღვროს იმ ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომლებიც არ იზღუდება და რომელთა ფუნქციონირებაც აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

- ზემო პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების ჩამონათვალს საქართველოს მთავრობას წარმოუდგენენ საქართველოს სამინისტროები ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით.

- ბიზნესოპერატორები/მეწარმე სუბიექტები, რომლებიც, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, დაინტერესებულნი არიან გააგრძელონ ეკონომიკური საქმიანობა, უნდა მიმართონ შესაბამის სამინისტროს/შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა.

- საგანგებო მდგომარეობის ვადით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესებისა, დასაშვებია, ასევე სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების გავლით საქონლის შემოტანა განხორციელდეს სურსათის ეროვნული სააგენტოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე შესაბამისი პირობების დაცვით.

KPMG

მიმოსვლის შეზღუდვა

ძირითადი ცვლილებები:

- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება, როგორც საერთაშორისო ასვე ადგილობრივი მიმოსვლა (გამონაკლისების გათვალისწინებით) [4].
- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება.
- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება.

საერთაშორისო მიმოსვლა: ჩერდება საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა, ასევე რეგულარული პირდაპირი საერთაშორისო რეისები.

შეზღუდვა არ ვრცელდება, მათ შორის: *ისეთ ფრენებზე, რომლის დროსაც უცხო ქვეყნებიდან საჰაერო ხომალდი ჩამოფრინდება განმახორციელებელ და ძებნა-სამაშველო ფრენებზე. საქართველოში მგზავრების გარეშე, საქართველოდან მგზავრების გაყვანის მიზნით, სატვირთო, სამთავრობო, სამხედრო, ამბულატორიული, ავარიული, ტექნიკური დაჯდომის მიზნით განსახორციელებელ ფრენებზე.*

ადგილობრივი მიმოსვლა: ჩერდება მგზავრთა გადაყვანა სარკინიგზო, ავტოსატრანსპორტო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის, მეტროპოლიტენითა და საბაგიროთი გადაადგილება), ასევე, რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ქვეყნის შიგნით მგზავრთა გადაყვანის მიზნით; საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

შეზღუდვა არ ვრცელდება, მათ შორის: *საქართველოს რკინიგზის მიერ შემუშავებული გრაფიკით თანამშრომლების გადაადგილების/გადაყვანის მიზნით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე და პირიქით განხორციელებულ მარშუტზე ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით. ასევე, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ უფლებამოსილება, ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებით დაადგინონ მგზავრთა გადაყვანის მარშრუტები დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნებისთვის. ამასთან, მარშრუტის დადგენა ხდება შესაბამისი იურიდიული პირის მოთხოვნის საფუძველზე.*

- საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება; ამასთან, მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს. ამ წესის დარღვევისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მძღოლს.

  შეზღუდვა არ ვრცელდება, მათ შორის: *M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა სპეციალურ რეგულარულ გადაყვანაზე. ასევე, შეზღუდვა არ ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის აღსრულებაზე პასუხისმგებელი და საკარანტინო ღონისძიების განმახორციელებელი უწყებების უფლებამოსილი მოსამსახურეების გადაადგილებაზე.*

.

- საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით.

  შეზღუდვა არ ვრცელდება: *საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე; საჯარო დაწესებულებებისა და დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებზე/ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.*

  სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების მიზნით გადაადგილებაზე, რომელიც დასაშვებია 06:00 საათიდან 08:00 საათამდე და 18:00 საათიდან 19:00 საათამდე პერიოდში (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა), ასევე სასოფლო-სამეურნეო მანქანის/ტექნიკის გადაადგილებაზე.

- საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში ფიზიკური პირი ვალდებულია, გადაადგილებისას თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სხვა შეზღუდვები

ძირითადი ცვლილებები:

- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით საგანმანათლებლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე.
- ✓ საგანგებო მდგომარეობის ვადით შეიზღუდება კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება, ასევე საჯარო სივრცეში შეკრება.
- ✓ იზღუდება 70 წლისა და მეტი ასაკის პირების ფაქტობრივი/რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის დატოვება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.
- ✓ საქართველოს მთავრობას მიეცა უფლებამოსილება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის შეზღუდოს საკუთრების უფლება და გამოიყენოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.

საგანმანათლებლო პროცესის შეზღუდვა

- საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროცესი უნდა განხორციელონ დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).
- საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ადმინისტრაციები უნდა გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე (კრიტიკულად მნიშვნელოვანი აუცილებლობის გარდა).
- იკრძალება ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია, სემინარი, გარდა დისტანციური ფორმისა.

კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა

- საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში იკრძალება ყველა ტიპის კულტურული და სპორტული ღონისძიების ჩატარება გარდა დისტანციური ფორმისა.

შეკრებებისა და მანიფესტაციების, აგრეთვე საჯარო სივრცეში თავშეყრის შეზღუდვა

- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით იკრძალება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეკრება ან/და მანიფესტაცია.

- აიკრძალა საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 3 პირზე მეტი რაოდენობით. დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას ყველა პირი ვალდებულია, ატაროს პირბადე. საჯარო სივრცე არის როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს.
- აიკრძალა ისეთი სოციალური ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია 3-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან (მაგ.: ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები).

შეზღუდვა არ ვრცელდება: *3-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა დასაშვებია სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული საქონლის/პროდუქტის რეალიზაციისას, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვით და პირბადით [რეკომენდაციების](#) გათვალისწინებით . ნებადართულია სამედიცინო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებებში, თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში, სამართალდამცავ ორგანოებში პირთა თავშეყრა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით.*

გადაადგილების ასაკობრივი შეზღუდვა

- აიკრძალა 70 წლისა და მეტი ასაკის პირების მიერ ფაქტობრივი/რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის დატოვება.

შეზღუდვა არ ვრცელდება: *სამედიცინო მომსახურების მიღების ან სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის მიზნით საცხოვრებელი ადგილის დატოვებისას; ასევე, სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების გადაადგილების შემთხვევებში.*

კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული შეზღუდვა

- იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ სასტუმროებს/განთავსების მსგავს საშუალებებს ან/და შეუძლიათ განახორციელონ სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობა, ასევე პირები, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა ან/და საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა-გადაზიდვა, ვალდებული არიან მოთხოვნისთანავე უზრუნველყონ თავიანთი ქონების და მატერიალური საშუალებების გამოყენება საგანგებო მდგომარეობის მიზნებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია:

- შეიზღუდა ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა და გასვლა. ამასთან, შესვლა არ ეკრძალებათ ამ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პირებს, ხოლო მუნიციპალიტეტებიდან გასვლა არ ეკრძალებათ სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს.

შეზღუდვა არ ეხება:

- სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას
- საერთაშორისო და ადგილობრივ სატვირთო გადაზიდვებს
- საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას
- ბრალდებულების/მსჯავრდებულების გადაყვანას
- ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონებისა და სხვა ფასეულობათა ინკასირებას
- ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოების/გადაცემის/განაწილების/მიწოდების, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების მიზნით გადაადგილებას
- სამომსახურეო სარკინიგზო მიმოსვლის მიზნით გადაადგილებას
- მედია საშუალებების წარმომადგენელთა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას
- სარიტუალო მომსახურების გაწევის მიზნით გადაადგილებას (მიცვალებულის გადასვენება/დაკრძალვა)
- საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული მიზნებისთვის გადაადგილებას
- კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას
- საჯარო დაწესებულებებისა და დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებს/ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

- შეჩერდა სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის ვადა.
  - თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების (პირველადი/განმეორებითი) გავლის ვადა ემთხვევა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადას, აღნიშნული პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების (პირველადი/განმეორებითი) გავლის ვადა შეჩერებულად ჩაითვალოს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე.

- დადგინდა განსხვავებული წესები ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის, მათ შორის:
  - საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის, საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები.
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველ ორგანოებს უფლება მიეცათ, საჩივარი განიხილონ დისტანციურად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ასევე საჩივარი განიხილონ მომჩივნის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.
  - საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი მოითხოვონ უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის თარგმანის, ასევე დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმება, თუნდაც ეს მოითხოვებოდეს საქართველოს კანონმდებლობით. დამოწმებული სახით თარგმანის ან/და ასლის წარუდგენლობა არ დააბრკოლებს დაინტერესებული პირის განცხადების განხილვას.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვა და მისი კონტროლი

- საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების დაცვის აღსრულებას უზრუნველყოფენ შემდეგი სამინისტროები:
  - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
  - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
  - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
  - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
  - მუნიციპალიტეტები
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა განახორციელოს დამხმარე ფუნქცია.
- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს, სამუშაო ადგილებზე რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ან/და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აგრეთვე, ზემოთ განსაზღვრული უწყებები.
- საკადასტრო დაგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

რეკომენდაციები

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია

- ✓ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განისაზღვრა როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სექტორის მიხედვით რეკომენდაციები [5]. ამასთან, ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორზე.
- ✓ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციების მიხედვით, დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშაონ ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციების გეგმა), რომელიც მათ COVID-19-გან დაცვის ღონისძიებების წარმართვაში დაეხმარება. მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სამუშაო ადგილებთან და თანამშრომლებზე დაკისრებულ დავალებებთან დაკავშირებულ რისკის დონეებს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომლების ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები.

- ზოგადი ხასიათის რეკომენდაციების დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ დანართ № 1-ში.

- რეკომენდაციები სექტორების მიხედვით:

- ❑ სამშენებლო სექტორისთვის (დანართი №2)
- ❑ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის პერსონალისთვის (დანართი №3)
- ❑ სასტუმროს პერსონალისა და სტუმრებისთვის (დანართი №4)
- ❑ მომსახურების სექტორისთვის (ბანკები, აფთიაქები და სავაჭრო ობიექტები) (დანართი №5)
- ❑ სატრანსპორტო სექტორისთვის (დანართი №6)
- ❑ სამთო-მოპოვებითი სექტორისთვის (დანართი №7)
- ❑ დამამუშავებელი მრეწველობის (კარიერის დამუშავების, არალითონური მინერალური პროდუქტების, ლითონის მზა ნაწარმის, კოქსისა და ნავთობპროდუქტების, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის, ქაღალდის, რეზინის, პლასტმასის, მინის, მანქანებისა და მოწყობილობების, ხე- ტყის, ხის და კორპის) საქმიანობებისთვის (დანართი №8)

KPMG

- საგამომცემლო საქმიანობებისათვის (ბეჭდური მედიის, წიგნების და ბროშურების გამოცემა) (დანართი №9)
- ელექტროენერგიის მიწოდების, წყლის დაგროვება/დამუშავება/განაწილებისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით (დანართი №10)
- დასაქმებულთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით (დანართი №11)
- მომსახურების/საოფისე სექტორისთვის (დანართი №12)
- სოფლის მეურნეობის (მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ცხოველთა სასაკლაოები, სასათბურე მეურნეობები) სექტორისთვის (დანართი №13)
- წარმოების (ქიმიკატების, ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება, წისქვილების, საკვები პროდუქტების: პურისა და პურ-ფუნთუშეულის, რძის და სხვა პროდუქტების საქმიანობა) სექტორისთვის (დანართი №14)
- მიტანის მომსახურების საქმიანობებისთვის (დანართი №15).

საქმისწარმოების განსხვავებული წესები

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით სხვადასხვა მომსახურებების განსხვავებულად მოწესრიგებული წესები

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის განსხვავებული წესები და პირობები

- სააგენტოს სერვისებით სარგებლობა და მომსახურების მიღება შესაძლებელია დისტანციურად, მოქალაქის პორტალის my.gov.ge-ს საშუალებით.
- სააგენტო უფლებამოსილია, განცხადებები და დოკუმენტაცია მატერიალური სახით მიიღოს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

❑ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში:

- "მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან/და მასში ცვლილების რეგისტრაცია
- გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია
- დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია
- რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია
- ამხანაგობის წევრის / წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია
- იპოთეკის უფლების, მასში ცვლილებისა და შეწყვეტის რეგისტრაცია
- უფლების წინასწარი რეგისტრაცია
- საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის, აკრძალვის) წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების დამისამართება, ნუმერაცია და მათი მისამართების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აუცილებელია პირადობის ელექტრონული მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გასაცემად

KPMG

- ზემოაღნიშნული მომსახურება გაიწევა წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე განცხადების წარდგენის საფუძველზე. ამ მომსახურების მისაღებად აუცილებელია დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში სატელეფონო კომუნიკაციის (ცხელი ხაზის (032) 2405405 საშუალებით) საფუძველზე ვიზიტის შეთანხმება და რიგის დაჯავშნა.

- სააგენტო, დაინტერესებული პირის მხრიდან სატელეფონო კომუნიკაციის (ცხელი ხაზის (032) 2405405 საშუალებით) საფუძველზე, უფლებამოსილია ზემოაღნიშნული მომსახურება მიაწოდოს დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ მისამართზე (ადგილზე მომსახურება) შემდეგ შემთხვევებში:
  - ❑ თუ განმცხადებელი 70 წლის და მეტი ასაკის პირია
  - ❑ სააგენტოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში

- სააგენტო უფლებამოსილია არ გაუწიოს ჩამოთვლილი მომსახურება იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში ან კარანტინში. თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფი პირებისთვის მომსახურების გაწევის სასიცოცხლო ინტერესის არსებობის შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს ყველა შესაძლო ღონე მომსახურების მისაწოდებლად.

- საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით იპოთეკის უფლების, მასში ცვლილებისა და შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადება და დოკუმენტაცია სააგენტოს წარედგინება მხოლოდ დისტანციურად, სააგენტოს ავტორიზებული პირების ან მოქალაქის პორტალის: my.gov.ge საშუალებით.

- საგანგებო მდგომაროების ვადით შეჩერდა სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირებისთვის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, დამატებითი დოკუმენტაციისა ან ინფორმაციის წარმოსადგენად დადგენილი ვადის დინება, გარდა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობისა და მათში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადისა. ვადის დინება განახლდება საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე.

ნოტარიუსთა მიერ მომსახურების გაწევის წესები და პირობები

- კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნოტარიუსებს აეკრძალათ სანოტარო საქმიანობა, გარდა სპეციალურად განსაზღვრული წესის შესაბამისად. შედეგად, შეიქმნა დროებითი სანოტარო ბიუროები სანოტარო მომსახურების გაწევისთვის, რომელთა სამუშაო განრიგია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 08:00 საათიდან 14:00 საათამდე.
- დროებითი სანოტარო ბიუროების მისამართებია:

- ❑ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შესასვლელი)
- ❑ თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2 (თბილისის იუსტიციის სახლის შენობის უკან მხარეს მდებარე ქორწინების სახლი)
- ❑ თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ქორწინების სახლი)
- ❑ თბილისი, წერეთლის გამზ. №8 (სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფისი)
- ❑ ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №70
- ❑ ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №20 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის შენობა)
- ❑ ზუგდიდი, თეატრის ქ. №2 (ზუგდიდის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი)
- ❑ ახალქალაქი, თავისუფლების ქ. №93
- ❑ თელავი, ერეკლე მეორის მოედანი №2
- ❑ ოზურგეთი, იოანე პეტრიწის ქ. №9 (ოზურგეთის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი)
- ❑ რუსთავი, მეგობრობის გამზ. №29 (რუსთავის იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებული ქორწინების სახლი
- ❑ გორი, გურამიშვილის ქ. №7 (გორის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი).

- მხოლოდ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი შემდეგი სანოტარო მომსახურების მიღება:
  - ❑ დოკუმენტის შენახვა (ცვლილება/გაუქმება)
  - ❑ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება)

KPMG

- მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან (ცვლილება/გაუქმება)
- დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება)
- იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება)
- განცხადების ან უწყების ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება)
- სამკვიდრო მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება)
- უმკვიდრო ქონების სახელმწიფოს ან სხვა უფლებამოსილი სუბიექტისათვის გადაცემის შესახებ მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება)
- გასანაღდებლად ჩეკის წარდგენა და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება)
- საარქივო დოკუმენტის ასლის დამოწმება და გაცემა
- გარიგების დამოწმება რამდენიმე ნოტარიუსის მონაწილეობით
- სანოტარო მედიაცია
- დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის დამოწმება.

- მომსახურების მისაღებად დაინტერესებული პირი წინასწარ მიმართავს პალატას შესაბამისი მოთხოვნით მომსახურების გაწევაზე, სადაც ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მომსახურების მიღება მისთვის გადაუდებლად აუცილებელია. გადაუდებელ აუცილებლობად ჩაითვლება ისეთი ვითარება, როდესაც მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში:

- დაინტერესებულ პირს შეიძლება ხელი შეეშალოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაში
- შეიძლება გავიდეს ვადები, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს აქვს ვალდებულება შეასრულოს განსაზღვრული სამართლებრივი მოქმედება, რომელიც იწვევს შეუქცევად შედეგს
- დაინტერესებულ პირს მიადგება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და არ არის ხელმისაწვდომი ზიანის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი მექანიზმი.

სააღსრულებო წარმოების განსხვავებულად მოწესრიგებული წესები

აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმისწარმოების წესი

- აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეცა უფლებამოსილება მიიღოს/დაარეგისტრიროს და დაიწყოს სააღსრულებო წარმოება სააღსრულებო ფურცლის/აღსრულების ქვემდებარე აქტის დედნის გარეშეც, რომელიც წარდგენილია მოქალაქის პორტალის my.gov.ge ან/და info@nbe.gov.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- სააღსრულებო ფურცლის სიყალბის შემთხვევაში პასუხისმგებლობა, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, ეკისრება მის წარმდგენ პირს.
- ნებისმიერი წარმოების (მათ შორის, სააღსრულებო წარმოება, გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სხვა) ფარგლებში, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და წარმოების მონაწილე პირს/განმცხადებელს შორის დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცვლა უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, ამავე პირის მიერ მითითებული ელექტრონული მისამართის მიხედვით (მოქალაქის პორტალის my.gov.ge ან info@nbe.gov.ge ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).
- ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის წარდგენისას პირის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია მიწოდებული იქნეს კრედიტორის ტელეფონის ნომერი, პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო რეკვიზიტი.
- იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ სააღსრულებო ფურცელს/აღსრულების ქვემდებარე აქტს წარდგენისას არ ახლავს განმცხადებელთან კომუნიკაციისთვის აუცილებელი რეკვიზიტები, აღმასრულებელი უფლებამოსილია არ დაიწყოს აღსრულება. ასეთ შემთხვევაში, აღმასრულებელი არ არის ვალდებული, განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია აღსრულების დაწყების შეუძლებლობის შესახებ.

კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმისწარმოების წესი

- კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებას იწყებს მხოლოდ ელექტრონული ფორმით წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის/აღსრულების ქვემდებარე აქტის საფუძველზე.
- სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით კერძო აღმასრულებელთან ხელშეკრულების დადება განხორციელდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, კერძო აღმასრულებელის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

- სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენისას, აუცილებელია მიწოდებული იქნეს კრედიტორის ტელეფონის ნომერი, პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო რეკვიზიტი.
- იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ სააღსრულებო ფურცელს/აღსრულების ქვემდებარე აქტს წარდგენისას არ ახლავს განმცხადებელთან კომუნიკაციისთვის აუცილებელი რეკვიზიტები, კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია არ დაიწყოს აღსრულება. ასეთ შემთხვევაში, კერძო აღმასრულებელი არ არის ვალდებული, განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია აღსრულების დაწყების შეუძლებლობის შესახებ.

სააღსრულებო საქმისწარმოების ზოგადი წესები

- ელექტრონულად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებულ სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორი ვალდებულია საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აღმასრულებელს/კერძო აღმასრულებელს, წარუდგინოს სააღსრულებო ფურცლის/აღსრულების ქვემდებარე აქტისა და თანდართული დოკუმენტაციის დედანი.
- აღმასრულებელი/კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია უძრავი ქონების აღწერა-დაყადაღება განახორციელოს გარეგნული დათვალიერებით და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების გამოყენებით.

იზოლაციისა და კარანტინის წესები

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის თანდართული წესები

ეს წესი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირზე.

- იზოლაცია ხორციელდება კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ.
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში იზოლაცია შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში ამ სივრცის შეფასების შემდეგ (თვითიზოლაცია).
- უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ან/და კორონავირუსის შემთხვევასთან კონტაქტირებული ყველა ფიზიკური პირი, გარდა გამონაკლისებისა [6], ექვემდებარება 14 დღის განმავლობაში იზოლაციას (კარანტინს ან თვითიზოლაციას).
- უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული პირები სასაზღვრო პუნქტებზე ექვემდებარებიან თერმულ სკრინინგს, გამოკითხვას და აღრიცხვას შესაბამისი ფორმის [7] შევსებით.
- თვითიზოლაციის სურვილის შემთხვევაში პირი ავსებს თვითიზოლაციის მოთხოვნის ფორმას [8].
- იზოლაციამდე (კარანტინი, თვითიზოლაცია) ფიზიკური პირი ხელს აწერს ინფორმირების ფორმას [9]. ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, ფორმაში კეთდება შესაბამისი შენიშვნა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.
- იზოლაციამდე პირს განემარტება/გადაეცემა შესაბამისი ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც უნდა დაიცვას იზოლაციის ან/და კარანტინში ყოფნის პერიოდში.
- ფიზიკური პირის იზოლაციის (კარანტინი, თვითიზოლაცია) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური წერილობით ან ზეპირად. გადაწყვეტილების ზეპირად მიღების შემთხვევაში, არაუმეტეს 5 დღისა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ხდება ამ გადაწყვეტილების წერილობითი სახით გაფორმება. გადაწყვეტილებაში აღინიშნება ფიზიკური პირის იზოლაციაში მოთავსების თარიღი და ვადა. აქტის გამოცემა არ არის სავალდებულო, როდესაც კარანტინი ცხადდება მასობრივად, ან კონკრეტული ტერიტორიის (მუნიციპალიტეტი, დასახლება) მიმართ, აგრეთვე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- პირის მიმართ იზოლაციის გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია გააკონტროლოს იზოლაციაში (თვითიზოლაციაში, კარანტინში) მყოფი პირი ფიზიკურად ადგილზე გადამოწმების, სატელეფონო ზარების განხორციელების და სხვა ლეგიტიმური საშუალებებით.

KPMG

- იზოლაციაში მყოფი პირის მიერ იზოლაციის ადგილის დატოვება დაუშვებელია, გარდა აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის სამსახურს.

იზოლაციაში მყოფი პირის უფლება მოვალეობანი

- იზოლაციაში მყოფი პირის პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახური კომპეტენციის ფარგლებში.
- იზოლაციაში მყოფ პირს მოეთხოვება თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებისგან თავის შეკავება და ეკრძალება ექიმის დანიშნულების გარეშე ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება.

- იზოლაციაში მყოფ პირს იზოლაციის პერიოდში ეკრძალება სხვა პირებთან ურთიერთობა, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ რეკომენდებული დამცავი საშუალებების გამოყენების გარეშე.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისთვის დაუმორჩილებლობის ან/და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ასეთი პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფიზიკური ძალა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფიზიკური შეზღუდვის სხვა საშუალებები.

- პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ჩადენილი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, შესაბამის პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ან/და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

წყაროები

1 საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის ბრძანება №2 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“.

2 საქართველოს კონსტიტუციის მე-13 (ადამიანის თავისუფლება), მე-14 (მიმოსვლის თავისუფლება), მე-15 (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები), მე-18 (სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები), მე-19 (საკუთრების უფლება), 21-ე (შეკრების თავისუფლება) და 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება) მუხლებში განსაზღვრული უფლებები.

3 საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ დანართები.

4 არარეგულარული (ჩარტერული) ფრენების განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

5 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ბრძანების №01-149/ო-ს შესაბამისი დანართები.

6 „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით განსაზღვრული გამონაკლისები.

7 „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №454 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №9 (დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსული მგზავრის სააღრიცხვო ბარათი).

8 ხელმისაწვდომია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.moh.gov.ge.

9 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის ბრძანება №01-31/ნ „იზოლაციისა და კარანტინის წესების განსაზღვრის შესახებ“-ის დანართი №1.

საკონტაქტო პირები:

კახა რუხაძე
მმართველი პარტნიორი

+995 322 935695
krukhadze@kpmg.com
www.kpmg.ge

ჯაბა გველებიანი
იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

+995 322 935695
jgvelenbiani@kpmg.com
www.kpmg.ge

kpmg.ge

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღზე ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაეყრდნოს აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია საქართველოში